# ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამა

## მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს  წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი მებრძოლების (ვეტერანი) ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი არიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კომუნალური გადასახადების დაფარვა (გაზი, ელ. ენერგია). აღნიშნული პროგრამა შექმნილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებითა და "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

## მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და განეკუთვნებიან ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ ჯარისკაცთა ოჯახები;

ბ)2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები;

გ)2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში, ქართულ ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისას დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები;

დ)საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები.

2.ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამით მოსარგებლე პირთა კრიტერიუმებთან შესაბამისობა და პროგრამაში მათი ჩართვის შესაძლებლობა განისაზღვრება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე:

ა)განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე;

ბ)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ)ვეტერანის მოწმობის (კოდი 501 ან 502) ასლი, ან ვეტერანის მოწმობის არარსებობის შემთხვევაში სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული შესაბამისი უწყების მიერ;

დ)ომის მონაწილის გარდაცვალების მოწმობის ასლი;

ე)განმცხადებლის გარდაცვლილთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

3.პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე დგინდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ. ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის შერჩევისას სამსახური

დამატებით ხელმძღვანელობს ყოველთვიურად სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ მიერ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოწოდებული ყოველთვიურად განახლებული ბაზით.

4.იმ შემთხვევაში თუ დაღუპული ჯარისკაცის ოჯახის წევრის სტატუსის მქონე პირები: მეუღლე/შვილი (შვილები) და დაღუპული ჯარისკაცის მშობლები (დედა/მამა ან ორივე) სხვადასხვა მისამართზე ცხოვრობენ და მომართეს მერიას დახმარების მიღების თხოვნით, აღნიშნულ შემთხვევაში მოხდება ოჯახზე განსაზღვრული წლიურად ლიმიტირებული თანხის, 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის პროპორციული გაყოფა და განმცხადებელთა შესაბამისი ოდენობით დაკმაყოფილება.

5.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

**მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი**

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი**

1.პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტია 32 500,00 (ოცდათორმეტი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| ბიუჯეტი | 32 500,00 ლარი |
| I კვარტალი | 11 000,00 ლარი |
| II კვარტალი | 8 000,00 ლარი |
| III კვარტალი | 7 500,00 ლარი |
| IV კვარტალი | 6 000,00 ლარი |

2ანგარიშგება განხორციელდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოწოდებული ქვითრების ან რეესტრის საფუძველზე.

3.საყოფაცხოვრებო-კომუნალური გადასახადების მიმდინარე დავალიანებების დაფარვა ხორციელდება სს "ენერგო-პრო ჯორჯიასა" და შპს "სოკარ ჯორჯია გაზის" მიერ წარმოდგენილი

ქვითრების ან სიის საფუძველზე, ასახული შესაბამისი თანხის ოდენობით.

4.პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით, რომლის გახარჯვის შესაძლებლობა ექნებათ 2018 წლის განმავლობაში. განსაზღვრული ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, გადაჭარბებულ თანხას აანაზღაურებენ თავად პროგრამით მოსარგებლე ოჯახები.

5.პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს უნაზღაურდება 2018 წლის დეკემბრის თვის კომუნალური გადასახადები 2019 წლის იანვარში. (ამ პუნქტის მოქმედება გავრცელდეს მხოლოდ იმ ოჯახებზე, რომლებიც  სარგებლობდნენ 2018 წელს არსებული პროგრამით და 2018 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით ამოწურული არ აქვთ პროგრამით დადგენილი შეღავათის ლიმიტი).

**მუხლი 5. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

**ნინო ქვირია**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი